

სამიზნე საპითხეპი/ქვესაპითხეპი

ა ღ ა მ ი ა ნ ი ს უ ო ზ ი ო ლ ო ბ ი ა უ ო

დიპლომირებული მდიკოსის პროგრამის სტუდენტებისთვის

№№ 1 – 191 – მოდული 9

№№ 192 - 381; 1038 – 1123 – მოდული 10

№№ 382 – 620 – მოდული 11

№№ 621 – 1037 – მოდული 12

1. ფიზიოლოგიის, როგორც მეცნიერების არსი.
2. ადამიანის ფიზიოლოგია – არსი, შესწავლის ობიექტები და მიზანი.
3. ადამიანის ფიზიოლოგიის როლი სამედიცინო განათლების სისტემაში.
4. ვალეოლოგია - არსი, მნიშვნელობა.
5. ჯანმრთელობა: ცნების შინაარსი, მნიშვნელობა.
6. ფიზიოლოგიური კვლევის მეთოდები
7. ცოცხალი ორგანიზმი: ცნების შინაარსი, მნიშვნელობა.
8. ფიზიოლოგიური ფუნქცია.
9. ორგანიზმის ანიმალური/სომატური ფუნქციები.
10. ორგანიზმის ვეგეტატიური ფუნქციები.
11. ფიზიოლოგიური სისტემა.
12. ფუნქციური სისტემა.
13. ჰომეოსტაზი, ჰომეოკინეზი.
14. ჰომეოსტაზური კონსტანტები: ხისტი, პლასტიური.
15. ფუნქციათა რეგულაციის არსი.
16. სარეგულაციო მექანიზმების ტიპები.
17. ორგანიზმის ფუნქციების რეგულაციის ნერვული და ჰუმორული მექანიზმების თავისებურებები (ურთიერთმიმართებით).
18. ფუნქციათა თვითრეგულაცია.
19. ორგანიზმის ადაპტაცია
20. ფიზიოლოგიური ადაპტაცია.
21. ადაპტაციური რეაქციების ტიპები.
22. ორგანიზმის ჰიპო- და არეაქტიულობა.
23. სტრესი, სტრესორი.
24. დიზადაპტაცია.
25. ნივთიერებათა ტრანსმემბრანული ტრანსპორტი: პასიური, გაადვილებული დიფუზია, აქტიური (პირველად-აქტიური, მეორად-აქტიური), შეუღლებული (სიმპორტი, ანტიპორტი).
26. იონური ტუმბოების აქტივატორები და რეგულატორები.
27. ენდოციტოზი: პინოციტოზი, ფაგოციტოზი (ნივთიერებათა ტრანსპორტის ფორმა).
28. ტრანსციტოზი, პერსორბცია – როგორც ნივთიერებათა ტრანსპორტის სახეები.
29. უჯრედებს შორის ინფორმაციის მიმოცვლის ფორმები.
30. გალიზიანებადობა. გამლიზიანებლები: კლასიფიკაცია.
31. აგზნებადობა/ აგზნება. აგზნებადი ქსოვილები/უჯრედები.
32. ბიოელექტრული პროცესების რეგისტრაციის მეთოდები (ექსპერიმენტული, კლინიკური).
33. ელექტრული პოტენციალის წარმოქმნისათვის საჭირო ენერჯის გენეზის პრინციპი უჯრედში.
34. მოსვენების მემბრანული პოტენციალი: არსი, სიდიდე სხვადასხვა აგზნებად უჯრედში.
35. მიკროელექტროდული ტექნიკა: არსი, პრინციპი.
36. მემბრანის დე-, რე- და ჰიპერპოლარიზაცია.

37. უჯრედში ელექტრული პოტენციალის არსებობის განმაპირობებელი გარემოებები (იონთა კონცენტრაცია, მათი ტრანსმემბრანული ტრანსპორტი).
38. იონთა პასიური და აქტიური ტრანსპორტის უზრუნველმყოფი ფაქტორები.
39. მოქმედების მემბრანული პოტენციალი: არსი, ფაზები, ხანგრძლივობა, ამპლიტუდა სხვადასხვა აგზნებად უჯრედში.
40. კვალის პოტენციალი: უარყოფითი, დადებითი.
41. მოქმედების პოტენციალის სხვადასხვა ფაზის განვითარების განმაპირობებელი ფაქტორები/მექანიზმი.
42. "სულ ან არაფრის კანონი" – ფიზიოლოგიური არსი და მნიშვნელობა.
43. იონთა არხები: კლასიფიკაცია (მართვის შესაძლებლობის, იონების მოძრაობის სიჩქარის, გამომწვევი სტიმულების, სელექციურობის მიხედვით).
44. იონთა არხების სტრუქტურა.
45. იონთა არხების თვისებები.
46. ჟონვადი და მართვადი არხების როლი მემბრანის სუმარულ გამტარებლობასა და თვისებებში.
47. ნატრიუმის, კალიუმის და კალციუმის არხების თვისებები და მათი ბლოკატორები (ფიზიოლოგიური ეფექტებით).
48. რეგენერაციული დეპოლარიზაცია და მისი როლი მოქმედების პოტენციალის განვითარებაში.
49. ნატრიუმ-კალიუმის ტუმბოს როლი უჯრედის მოსვენებისა და აგზნების დროს.
50. მემბრანის პოტენციალის კათ- და ანელექტროტონური ცვლილებები.
51. დეპოლარიზაციის კრიტიკული დონე: არსი, ცვალებადობა, როლი უჯრედის აგზნებისათვის.
52. მემბრანის ლოკალური პასუხი.
53. რეობაზა. სასარგებლო დრო. ძალა-დროის მრუდი.
54. ქრონაქსია, ქრონაქსიმეტრია – ფიზიოლოგიური არსი.
55. აგზნებადი უჯრედის აკომოდაცია.
56. უჯრედის აგზნებადობის ხარისხის ცვლილებები აგზნების დროს: ფაზები, მდგომარეობები, მათი იონურ-მემბრანული საფუძველი.
57. ადგილობრივი დენი – აგზნების გატარების მექანიზმი ბოჭკოს მემბრანის გასწვრივ.
58. აგზნების უდეკრემენტო გატარება.
59. აგზნების გატარების საიმედოობის ფაქტორი, მისი დამოკიდებულება აგზნების გატარების სიჩქარესთან და მისი ცვლილებები.
60. ნივთიერებათა ცვლა აგზნების დროს.
61. აგზნებადი უჯრედების/ქსოვილების ლაბილობა: არსი, მაჩვენებლები.
62. ანალიზატორი: არსი, განყოფილებები.
63. რეცეპტორები: სენსორული, ეფექტორული.
64. სენსორული რეცეპტორების კლასიფიკაცია: აღქმადი გამღიზიანებლისადმი დამოკიდებულების, ორგანიზმში მდებარეობის, მოდალობის, ადაპტაციის სიჩქარის, ფსიქოფიზიოლოგიური ნიშნით.
65. პირველადი და მეორადი სენსორული რეცეპტორები.
66. რეცეპტორში გაღიზიანების ენერჯიის ნერვულ იმპულსად ტრანსფორმირების ეტაპები.
67. რეცეპტორული პოტენციალი პირველად და მეორად რეცეპტორებში.
68. რეცეპტორების თვისებები: აგზნებადობის ხარისხი, ადაპტაცია (მექანიზმით), სპონტანური აქტივობა.
69. რეცეპტორების აგზნებადობის რეგულაცია.

70. გამლიზიანებლის ძალის და მოქმედების ხანგრძლივობის კოდირება რეცეპტორსა და მგრძობიარე ბოჭკოში.
71. ვებერ-ფეხნერის კანონი.
72. ნერვული ბოჭკოები: მიელინინიანი, უმიელინო.
73. მიელინინიანი ნერვული ბოჭკოს სტრუქტურული ელემენტების ფიზიოლოგიური როლი.
74. ნერვული ბოჭკოს დეგენერაცია და რეგენერაცია.
75. ნერვულ ბოჭკოში აგზნების გატარების კანონები: ანატომიური და ფიზიოლოგიური უწყვეტობის, ორმხრივი გატარების, იზოლირებული გატარების; მათი მნიშვნელობა.
76. აგზნების გატარების მექანიზმი უმიელინო ნერვულ ბოჭკოში.
77. აგზნების გატარების მექანიზმი მიელინინიან ნერვულ ბოჭკოში.
78. აგზნების ესტაფეტური და სალტატორული გატარება – ურთიერთმიმართებით.
79. აგზნების გატარების სინქარე და ბოჭკოს (უმიელინო, მიელინინიანი) დიამეტრი: ურთიერთდამოკიდებულება.
80. ნერვული ბოჭკო და ნერვული დერო (ნერვი).
81. ნერვის ელექტრული აქტივობა (ჯამური).
82. ნერვული ბოჭკოების კლასიფიკაცია აგზნების გატარების ფიზიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით (A - α , β , γ , δ ; B; C).
83. სხვადასხვა ტიპის ნერვული ბოჭკოს როლი ორგანიზმის ფუნქციონირებაში ნერვულ-რეფლექსურ რეგულაციაში.
84. ნერვულ ბოჭკოში აგზნების გატარების სინქარის განსაზღვრა და მისი ცვლილებები.
85. ჟანგბადის მოხმარება ნერვში მოსვენების მდგომარეობაში და აგზნების დროს.
86. ცილების მეტაბოლიზმის ცვლილებები აგზნების დროს.
87. სითბოს პროდუქცია ნერვში მოსვენების მდგომარეობაში და აგზნების დროს (არსი, მაჩვენებლები, ფაზები).
88. ენერგიის ხარჯვა ნერვის აგზნების დროს.
89. ნერვის შედარებითი დაუღლელობა და მისი ხარისხი სხვადასხვა დიამეტრის ნერვულ ბოჭკოში.
90. სინაპსი: არსი, მნიშვნელობა.
91. სინაპსების კლასიფიკაცია: დაკავშირებული უჯრედების ტიპის, ეფექტის, სიგნალის გადაცემის საშუალების, მედიატორის მიხედვით.
92. სინაპსის სტრუქტურულ-ფუნქციური ელემენტები.
93. პრესინაპსის სტრუქტურულ-ფუნქციური მახასიათებლები.
94. პრესინაპსური დაბოლოება და პრესინაპსური მემბრანა.
95. მედიატორი – აცეტილქოლინი: ფუნქცია, ქიმიზმი.
96. სინაპსური ნაპრალის სტრუქტურულ-ფუნქციური მახასიათებლები.
97. მედიატორის სინაპსურ ნაპრალში ჩადგომის მექანიზმი.
98. კალციუმის იონებისა და კალციუმის არხების როლი აგზნების სინაპსურ გადაცემაში.
99. ნერვული ბოჭკოს მიერ ინერვირებული კუნთოვანი ბოჭკოს მემბრანა: პოსტსინაპსური მემბრანა, სუბსინაპსური მემბრანა, საბოლოო ფირფიტა.
100. ქემორეცეპტორები: როლი აგზნების ნერვ-კუნთოვან გადაცემაში, რაოდენობა.
101. საბოლოო ფირფიტის პოტენციალი: განვითარება, ფიზიოლოგიური მახასიათებლები, როლი აგზნების სინაპსურ გადაცემაში.
102. აგზნების ნერვ-კუნთოვანი (ქიმიური, სინაპსური) გადაცემის თავისებურებანი: არსი, მიზეზები, მექანიზმი.
103. ქოლინორეცეპტორი ნერვ-კუნთოვან სინაპსში: როლი, ტიპი/მგრძობელობა, მოქმედების მექანიზმი.

104. ქოლინორეცეპტორის როლი საბოლოო ფირფიტის პოტენციალის აღმოცენებასა და თავისებურებებში.
105. ნერვული ბოჭკოდან ჩონჩხის კუნთზე აგზნების სინაპსური გადაცემის ფუნქციური სქემა/ეტაპები.
106. ელექტრულ-სეკრეციული და ქიმიურ-ელექტრული შეუღლება ნერვ-კუნთოვანი (ჩონჩხის) სინაპსის პრე- და პოსტსინაპსურ მორფოფუნქციურ ნაწილებზე.
107. მინიატურული პოსტსინაპსური პოტენციალები.
108. ქოლინორეცეპტორების ბლოკატორები (კურარე, d-ტუბოკურარინი, დიპლაცინი, ბუნგაროტოქსინი, ფლაქსიდინი, ატროპინი) და მათი როლი აგზნების სინაპსური გადაცემის დარღვევაში.
109. მიორელაქსანტების მნიშვნელობა კლინიკურ მედიცინაში.
110. ქოლინესთერაზა: როლი აგზნების სინაპსურ გადაცემაში, მოქმედების მექანიზმი.
111. ქოლინესთერაზას ინჰიბირება (არსი, მნიშვნელობა) და ინჰიბიტორები.
112. ქოლინესთერაზას აქტივობის ცვლილებები სხვადასხვა დაავადების და ზემოქმედების დროს.
113. გალიზიანების "პესიმალური შეკავება": არსი, პირობები, მნიშვნელობა.
114. სინაპსური გადაცემის გაადვილება: არსი, მექანიზმი.
115. რეტროგრადული შუამავლების და კალციუმის იონების როლი აგზნების სინაპსური გადაცემის ეფექტიანობის ამაღლებაში.
116. სინაპსური დეპრესია: არსი, მექანიზმი.
117. დესენსიტიზაცია: არსი, მექანიზმი.
118. აგზნების სინაპსური გადაცემის დარღვევა ნერვის ხანგრძლივი გალიზიანებისას.
119. დენერვაციის შემდგომი ცვლილებები კუნთში.
120. ტენდოტომის შემდგომი ცვლილებები კუნთში.
121. ნერვის ტროფიკული ფუნქცია: ფიზიოლოგიური არსი, მნიშვნელობა.
122. გლუვ კუნთებზე აგზნების გადაცემის განმახორციელებელი მედიატორები.
123. ნერვიდან გლუვ კუნთებზე აგზნების გადაცემის თავისებურებები: პოსტსინაპსური პოტენციალების რაოდენობა და შეჯამება, გალიზიანების სისშირე, ეფექტები, "მუშა" იონები, აგზნება, შეკავება.
124. გლუვკუნთოვანი ქოლინო- და ადრენორეცეპტორები: ტიპები, ბლოკატორები.
125. გლანდულოციტების ბიოელექტრული სპეციფიკა მოსვენებისა და აგზნების დროს.
126. ეგზოკრინული ჯირკვლების მოსვენების შემბრანული პოტენციალი.
127. გლანდულოციტების სეკრეციული პოტენციალი.
128. დეპოლარიზაცია და ჰიპერპოლარიზაცია სხვადასხვა ტიპის გლანდულოციტის აგზნებისას.
129. სეკრეციული გრანულების გადაადგილების და სეკრეტის გამოსვლის მექანიზმი გლანდულოციტებში.
130. გლანდულოციტების სეკრეციის აუტოკრინული რეგულაცია.
131. ნერვული იმპულსის როლი ინფორმაციის მიმოცვლაში/გადაცემაში ადამიანის ორგანიზმში.
132. ადამიანის ორგანიზმის კუნთოვანი ქსოვილის მორფოლოგიურ-ფუნქციური ტიპოლოგია.
133. ჩონჩხის განივზოლიანი მუსკულატურის ფუნქციები.
134. ჩონჩხის განივზოლიანი კუნთების ბოჭკოების ფიზიოლოგიური თვისებები.
135. ჩონჩხის კუნთის ბოჭკოს ადეკვატური გამღიზიანებლები ბუნებრივ პირობებსა და ექსპერიმენტში.
136. ჩონჩხის კუნთის ბოჭკოს პირდაპირი და არაპირდაპირი გალიზიანება.
137. ელექტრომიოგრაფია, ელექტრომიოგრაფია, მიოგრაფია, მიოგრაფია: არსი, მნიშვნელობა.

138. კუნთის შეკუმშვის ტიპები შეკუმშვის პირობების მიხედვით (ექსპერიმენტში, ბუნებრივ ვითარებაში).
139. კუნთის შეკუმშვის ტიპები გაღიზიანების სიხშირის მიხედვით.
140. ჩონჩხის განივზოლიანი კუნთოვანი ბოჭკოს ბიოელექტრული მახასიათებლები მოსვენებისა და აგზნების დროს.
141. ნატრიუმის, კალციუმის, ქლორის იონების როლი კუნთის ბოჭკოს მემბრანის ბიოელექტროგენეზში.
142. კუნთის ერთხელობრივი შეკუმშვა: არსი, პირობები, ფაზები.
143. "სულ ან არაფრის" კანონი ჩონჩხის განივზოლიანი კუნთის ბოჭკოზე და მთლიან კუნთზე.
144. შეკუმშვათა სუმაცია: არსი, პირობები.
145. შეკუმშვათა სრული და არასრული სუმაცია (სრული/გლუვი და არასრული/დაკბილული ტეტანუსი): არსი, პირობები.
146. ბიოელექტრომექანიკური პროცესები შეკუმშვათა სრული და არასრული სუმაციის დროს.
147. ნარჩენი კონტრაქტურა: არსი, პირობები.
148. მამოძრავებელი ერთეულები.
149. მამოძრავებელი ერთეულები – ფუნქციური კლასიფიკაცია.
150. ადამიანის მოტორული ერთეულების ბიოელექტრული და ბიომექანიკური აქტივობა ბუნებრივ პირობებში. პოზური ტონუსი.
151. მიოფიბრილების ფუნქციური ულტრასტრუქტურა: ელემენტები, განლაგება, ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
152. მოქმედების პოტენციალის როლი ჩონჩხის კუნთის შეკუმშვის ინიცირებასა და განვითარებაში.
153. კალციუმის იონების როლი შეკუმშვის ელექტრომექანოგენეზში.
154. კალციუმის სეკვესტრაციისა და გამოთავისუფლების მექანიზმი. კალციუმის ტუმბო.
155. აგზნებისა და შეკუმშვის პროცესების პარალელიზმი, თანმიმდევრულობა და სინქრონულობა/ასინქრონულობა ჩონჩხის კუნთში.
156. ჩონჩხის კუნთის ბოჭკოს მოდუნების მექანიზმი.
ჩონჩხის განივზოლიანი კუნთოვანი ბოჭკოს აგზნების, შეკუმშვის და მოდუნების პროცესები. ეტაპობრიობა/თანმიმდევრულობა.
157. ატფ-ს როლი ჩონჩხის შეკუმშვის ელექტრომექანოგენეზში.
158. ატფ-ს რესინთეზის გზები ჩონჩხის კუნთში.
159. ატფ-ს რესინთეზის დარღვევის ფიზიოლოგიური ეფექტები ჩონჩხის კუნთში.
160. აქტინისა და მიოზინის ძაფების ურთიერთქმედება იზომეტრული და იზოტონური შეკუმშვის დროს.
161. თერმოგენეზი კუნთის შეკუმშვის დროს.
162. კუნთის შეკუმშვის სიდიდე: არსი, განმსაზღვრელი პირობები.
163. კუნთის ძალა: არსი, განსაზღვრის პირობები.
164. კუნთის ძალის განმაპირობებელი გარემოებები.
165. გნათოდინამოტორიის ფიზიოლოგიური არსი.
166. კუნთის მუშაობა: არსი, განსაზღვრის პირობები.
167. კუნთის მუშაობის ტიპები.
168. დაღლა: ფიზიოლოგიური არსი.
169. იზოლირებული კუნთის მუშაობის უნარი და მისი ცვლილებები სხვადასხვა პირობებში.
170. იზოლირებული კუნთის დაღლა: პირობები, მიზეზები.
171. კუნთის დასვენება: მარტივი, აქტიური.
172. სამოძრაო აპარატის დაღლა მთლიან ორგანიზმში სამოძრაო მოქმედებების თვალსაზრისით.

173. ერგოგრაფია: არსი, მეთოდოლოგია, მნიშვნელობა მედიცინაში.
 174. კუნთის ჰიპერტროფია: არსი, მექანიზმი, მნიშვნელობა.
 175. კუნთის ატროფია: არსი, მექანიზმი, მნიშვნელობა.
 176. გლუვი კუნთები ადამიანის ორგანიზმში: ბიოლოგიური დანიშნულება.
 177. გლუვი კუნთების სპეციფიკური ფიზიოლოგიური თვისებები და მათი მნიშვნელობა ორგანიზმისათვის.
 178. გლუვიკუნთოვანი უჯრედების ტიპები.
 179. უნიტარული (ვისცერული) და მულტიუნიტარული გლუვი კუნთების ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
 180. გლუვი კუნთების ვეგეტატიური ინერვაცია (სიმპათიკური, პარასიმპათიკური).
 181. ვისცერული გლუვი კუნთების ინტრამურული ნერვული რეგულაცია.
 182. გლუვიკუნთოვანი უჯრედების (სხვადასხვა ტიპის) ბიოელექტრული აქტივობა მოსვენებისას და აგზნების დროს.
 183. ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმის იონების როლი გლუვი კუნთის მემბრანის ბიოელექტროგენეზში. არხების ბლოკატორები.
 184. აგზნების წარმოქმნა, გატარება და გადაცემა გლუვი კუნთში/კუნთზე.
 185. გლუვი კუნთის ადეკვატური გამღიზიანებლები.
 186. გლუვი კუნთების სინაპსური და არასინაპსური მიდამოს ქემორეაქტიულობა.
 187. ელექტრულ-სეკრეციული და ქიმიურ-ელექტრული შეუღლება ნერვ-გლუვიკუნთოვანი სინაპსის პრე- და პოსტსინაპსურ სტრუქტურებზე.
 188. გლუვი კუნთების კუმშივითი აქტივობა: შეკუმშვის ტალღის სიჩქარე, ძალა, ხანგრძლივობა, ენერგეტიკული "ფასი".
 189. ქიმიურ-მექანიკური შეჭიდულობის მნიშვნელობა გლუვი კუნთებში.
 190. გლუვი კუნთების შეკუმშვის რეჟიმი.
 191. ღრუ გლუვიკუნთოვანი ორგანოების (სითხით სავსე) შეკუმშვის მექანიზმი/-ები.
-
192. ცენტრალური ნერვული სისტემის (ცნს) მარეგულირებელი და მაინტეგრირებელი როლი ადამიანის ორგანიზმში.
 193. სისტემური მიდგომის არსი ცნს-სთან მიმართებაში.
 194. რეფლექსი – ნერვული სისტემის მოქმედების მექანიზმი.
 195. რეფლექსური (რეფლექსის) რკალი: არსი, კომპონენტები.
 196. დეტერმინიზმის პრინციპები ფუნქციონირება რეფლექსურ რეგულაციასთან მიმართებით.
 197. უარყოფითი უკუკავშირი ფიზიოლოგიური პროცესების რეგულაციაში: არსი, მაგალითები.
 198. დადებითი უკუკავშირი: არსი, მაგალითები.
 199. უკუკავშირი "განსხვავებულობის" პრინციპით.
 200. უკუკავშირი "შეშფოთების" პრინციპით.
 201. ცნს-ის ინტეგრაციული მოქმედების უზრუნველყოფელი მორფოფუნქციური ორგანიზმების დონეები.
 202. ნეირონული თეორია: არსი, პრინციპები.
 203. ნეიროგლია: ფუნქცია, ძირითადი მახასიათებლები.
 204. ნეიროგლიის უჯრედული ტიპოლოგია.
 205. ნეიროგლია – სივრცითი ბუფერი.
 206. ნეიროგლიის ბიოელექტრული "აქტივობა".
 207. ნეირონის მორფოფუნქციური ელემენტები.
 208. ნეირონის სომის ბიოელექტრული აქტივობა მოსვენებისას და აგზნების დროს.

209. დენდრიტების მორფოფუნქციური მახასიათებლები.
210. აქსონის (და მისი სპეციალიზებული ელემენტების) მორფოფუნქციური მახასიათებლები.
211. ნეირონების ტიპები: მორჩების რაოდენობის და ფუნქციის მიხედვით.
212. აფერენტული, ჩართული და ეფერენტული ნეირონების ფუნქციური დეტერმინაცია.
213. აქსონის ბორცვაკი: როლი ნეირონის ელექტროგენეზში.
214. ნეირონის კვალის ჰიპერპოლარიზაცია: მექანიზმი, როლი ნეირონის ელექტროგენეზის მართვაში.
215. აგზნების სინაპსური გადაცემა ცნს-ში.
216. ქიმიური, ელექტრული და შერეული სინაპსები ცნს-ში: მორფოფუნქციური თავისებურებანი.
217. აგზნების გადაცემა ქიმიურ და ელექტრულ სინაპსებში – ურთიერთმიმართებით.
218. მედიატორის გამოთავისუფლების პროცესი ცნს-ის ქიმიურ სინაპსებში.
219. ცნს-ის მედიატორები, მათი სინთეზის და გამოყოფის რეგულაცია.
220. ნივთიერების მედიატორული ფუნქციის კრიტერიუმები.
221. ცნს-ის მედიატორების ძირითადი ფიზიოლოგიური ეფექტები.
222. დეილის პრინციპი: საკითხის არსი “გუშინ”, “დღეს”.
223. მემბრანის ქიმიური რეცეპტორები: დანიშნულება, ტიპოლოგია, მოქმედების პრინციპი.
224. ქიმიური სინაპსების იონოტროპული და მეტაბოტროპული რეცეპტორები.
225. აგზნები პოსტსინაპსური პოტენციალი (აპსპ) ცნს-ში: ელექტროგენეზი.
226. შეკავება ცნს-ში: არსი: მნიშვნელობა.
227. აგზნება და შეკავება: მათი ელექტროგენეზი ურთიერთმიმართებით.
228. შემაკავებელი ნეირონები (რენშოუსი, პურკინიესი): დანიშნულება, მოქმედების მექანიზმი.
229. შეკავების სახეები ცნს-ში: პრესინაპსური, პოსტსინაპსური.
230. შემაკავებელი პოსტსინაპსური პოტენციალის (შპსპ) ელექტროგენეზი.
231. შემაკავებელი მედიატორები: ფიზიოლოგიური მოქმედების პრინციპი.
232. გაემ-ერგული სტრუქტურების მოქმედების მართვის კლინიკური მაგალითები.
233. შემაკავებელი სინაპსების ბლოკირება და ბლოკატორები.
234. პრესინაპსური შეკავება: მორფოლოგიური საფუძველი და მემბრანული მექანიზმი.
235. პრესინაპსური შეკავების ბიოლოგიური არსი.
236. შემაკავებელი ელექტრული სინაპსები.
237. შემაკავებელი პოსტსინაპსური პოტენციალი (შპსპ) და შემაკავებელი პრესინაპსური დეპოლარიზაცია (შპდ) ცნს-ში.
238. რეფლექსების კლასიფიკაცია: ბიოლოგიური მნიშვნელობის მიხედვით, რეცეპტორების განლაგების მიხედვით, განხორციელებისათვის საჭირო ცნს-ის განყოფილებების მიხედვით, მონაწილე ორგანოების მიხედვით, ხანგრძლივობის მიხედვით, გამომუშავების წესის მიხედვით.
239. რეფლექსური რკალის აფერენტული ნაწილი. რეცეპტორული ველი.
240. რეფლექსური რკალის ცენტრალური ნაწილი. მონო- და პოლისინაფსური რეფლექსები.
241. ნერვული ცენტრი: არსი, მნიშვნელობა,
242. ნერვული ცენტრის ფიზიოლოგიური მახასიათებლები და განმსაზღვრელი პირობები.
243. ერთმხრივი გატარება, დაყოფილებული გატარება, პოსტტეტანური პოტენციალი, აგზნებათა სუმატია ნერვულ ცენტრში.
244. რიტმის ტრანსფორმაცია, შემდეგმოქმედება, დაღლა, ტონუსი და ჟანგბადის მოხმარება ნერვულ ცენტრში.
245. კონვერგენცია და საერთო საბოლოო გზა ცნს-ში.
246. დივერგენცია და აგზნების ირადიაცია ცნს-ში.
247. გაადვილება და ოკლუზია ცნს-ში.
248. რეციპროკული შეკავება.
249. დომინანტის ფენომენი ცნს-ში.

250. ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების და შხამების მოქმედება ცნს-ზე.
251. ზურგის ტვინის ძირითადი ფუნქციები.
252. ზურგის ტვინის ნეირონების კლასიფიკაცია: ნერვული სისტემის განყოფილებების მიხედვით, ინფორმაციის მიმართულების მიხედვით, ეფექტის მიხედვით.
253. ზურგის ტვინის წინა რქების მოტონეირონების მორფოფუნქციური მახასიათებლები.
254. ზურგის ტვინის ძირითადი აღმავალი გზები. პირველადი და მეორადი აფერენტული ნეირონები და "მათი" რეცეპტორები.
255. ზურგის ტვინის ძირითადი დაღმავალი გზა/ტრაქტები.
256. ზურგის ტვინის ფუნქციების დაღმავალი კონტროლი.
257. ზურგის ტვინის რეფლექსების კლასიფიკაცია: რეცეპტორების მიხედვით, ორგანო-ეფექტორების მიხედვით; მათი სახეები და ბიოლოგიური არსი.
258. ზურგის ტვინის ძირითადი რეფლექსები: მუხლის, აქილევის, პოზის/დგომის, მოხრის, გაშლის, მდებარეობის, სიარულის.
259. კუნთების ტონუსის ზურგის ტვინის მიერ რეგულაცია.
260. თავის ტვინის ღეროს მორფოფუნქციური ორგანიზება.
261. უკანა ტვინის მორფოფუნქციური ორგანიზება.
262. რეტიკულური ფორმაციის ნეირონების ფიზიოლოგიური სპეციფიკა.
263. უკანა ტვინის რეფლექსური მოქმედება: სომატური, ვეგეტატიური. პოზის სტატიკური და სტატოკინეტიკური რეფლექსები.
264. უკანა ტვინის დაღმავალი და აღმავალი არასპეციფიკური გავლენები.
265. შუა ტვინის მორფოფუნქციური ორგანიზება. შუა ტვინის ბირთვების ფუნქციები. დეცერებრაციული რიგიდობა.
266. ნათხემის მორფოფუნქციური ორგანიზება.
267. ნათხემის დაზიანების ძირითადი გამოვლინებანი.
268. მოძრაობათა დისკორდინაცია ნათხემის დაზიანებისას.
269. თალამუსის მორფოფუნქციური ორგანიზება. თალამუსის სპეციფიკური და არასპეციფიკური ბირთვები.
270. ჰიპოთალამუსის მორფოფუნქციური ორგანიზება. ჰიპოთალამუსის ძირითადი ფუნქციები. ორგანიზმის ენდოკრინული ფუნქციის ჰიპოთალამუსური ფუნქციის კონტროლი.
271. ლიმბური სისტემის მორფოფუნქციური ორგანიზება.
272. აგზნების რევერბერაცია პეიპესის ლიმბურ წრეში.
273. ბაზალური განგლიები: ზოლიანი სხეული (კუდიანი ბირთვი, ნაჭუჭი), მკრთალი ბირთვი – ფიზიოლოგიური მოქმედება, დაზიანების კლინიკური გამოვლინებანი.
274. სტრიოპალიდური სისტემის ფუნქციური მარყუქები (ჩონჩხ-მოტორული, თვალის მამოძრავებელი).
275. დიდი ჰემისფეროების ქერქის ნეირონულ-შრეობრივი დიფერენციაცია.
276. ფუნქციათა კორტიკალიზაცია და ფუნქციათა ლოკალიზაცია დიდი ტვინის ქერქში.
277. თავის ტვინის ქერქის სენსორული ზონები.
278. თავის ტვინის ასოციაციური ქერქი.
279. თავის ტვინის ქერქის მოტორული ზონები.
280. თავის ტვინის ჰემისფეროების ფუნქციური ასიმეტრია.
281. დიდი ნახევარსფეროების მოქმედების ერთობლიობის უზრუნველყოფა.
282. თავის ტვინის ლიმფური სისტემა.
283. ლიკვორი: ფიზიოლოგიური დანიშნულება, შედგენილობა.
284. ჰემატოენცეფალური ბარიერი.

285. ელექტროენცეფალოგრაფია. ელექტროენცეფალოგრაფია: გენეზი, კომპონენტები, მეთოდთა, ინფორმაციული.
286. ცნს-ის კვლევის ექსპერიმენტული მეთოდები. გამოწვეული პოტენციალების მეთოდი. მიკროელექტროდული მეთოდი.
287. რეო-, ექოენცეფალოგრაფია: ფიზიოლოგიური არსი, კლინიკური ღირებულება.
288. ვეგეტატიური (ავტონომიური) ნერვული სისტემის (ენს) მორფოფუნქციური ნაწილები/განყოფილებები.
289. აგზნების გავრცელების თავისებურებები ვნს-ის პერიფერიულ ნაწილში.
290. მეტასიმპათიკური ნერვული სისტემის ფიზიოლოგიური როლი და თვისებები.
291. ვნს-ის ცენტრები (ტვინის ღერო, ზურგის ტვინი).
292. უმაღლესი ვეგეტატიური ცენტრები ცნს-ში.
293. ვნს-ის ეფერენტული ნაწილის ორნეირონიანი სტრუქტურა.
294. ვნს-ის განგლიები: ვერტებრული, პრევერტებრული, შიდაორგანული.
295. ვნს-ის განგლიების ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
296. ვეგეტატიური ცენტრების ტონუსი.
297. ვნს-ის პრე- და პოსტგანგლიური ბოჭკოების ფიზიოლოგიური თვისებები.
298. ქემორეცეპტორები ვნს-ის სინაპსებში: ქოლინორეცეპტორები (M-, N-), ადრენორეცეპტორები (α-, β-), მათი ქვეტიპები და ფიზიოლოგიური ეფექტები, მოქმედების მართვა.
299. მედიატორები ვნს-ის სინაპსებში.
300. ვნს-ის მაკორეგირებელი და გამშვები მოქმედება ორგანიზმის ფუნქციებზე. ფუნქციური ანტაგონიზმი და სინერგიზმი ვნს-ში.
301. ვნს-ის სიმპათიკური განყოფილების მოქმედების სპექტრი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე.
302. ვნს-ის სიმპათიკური განყოფილების მოქმედების დიფუზური ხასიათის ფიზიოლოგიური საფუძვლები.
303. ვნს-ის პარასიმპათიკური განყოფილების მოქმედების სპექტრი ორგანიზმის სხვადასხვა ფუნქციაზე.
304. ვნს-ის ნერვული მექანიზმების იერარქიული სტრუქტურა: დონეები, ფიზიოლოგიური არსი.
305. ვეგეტატიური რეფლექსები: მათი ფიზიოლოგიური არსი, კლინიკური ინფორმაციულობა.
306. ჰორმონი, როგორც ქიმიური ნივთიერება.
307. ჰორმონები: ძირითადი (მთავარი), ლოკალური – მათი მოქმედების პრინციპები.
308. სტეროიდული, ამინმჟავა თიროზინისაგან ნაწარმოები და ცილოვან-პეპტიდური ჰორმონები.
309. ჰორმონების დაგროვება და გამოყოფა.
310. ჰორმონების კონცენტრაცია სისხლში, გამოყოფის სიჩქარე და მისი რეგულაცია.
311. ჰორმონების რეცეპტორები: დანიშნულება, რაოდენობა და ცვალებადობა, მდებარეობა.
312. ჰორმონების მოქმედების მექანიზმი: მემბრანის განვლადობის შეცვლა, უჯრედშიდა ფერმენტის აქტივაცია, მეორადი შუამავლები.
313. სტეროიდული ჰორმონების ცილების მასინთეზებელი მოქმედება გენებზე.
- N.B.! ცალკეული ენდოკრინული ჯირკვლის ფიზიოლოგიური მოქმედება განიხილება შესაბამისი ჰორმონის/-ების ქიმიზმის, წარმოქმნის, გამოყოფის, ტრანსპორტირების, მოქმედების სპეციფიკის (მათ შორის - უჯრედული და სუბუჯრედული) და სეკრეციის რეგულაციის ჭრილში.*
314. ჰიპოფიზის მორფოფუნქციური ორგანიზება. ადენოჰიპოფიზის ჰორმონები და მათი ფიზიოლოგიური ეფექტები. ნეიროჰიპოფიზის ჰორმონები და მათი ფიზიოლოგიური ეფექტები.

315. ფარისებრი ჯირკვლის თირიდიული ჰორმონების და კალციტონინის ფიზიოლოგიური მოქმედება.
316. თირკმელზედა ჯირკვლის მორფოფიზიოლოგიური ორგანიზება. ქერქოვანი შრის ჰორმონების ფიზიოლოგიური მოქმედება.
317. პანკრეასის ენდოკრინული მოქმედება.
318. გლუკოზის კონცენტრაციის დინამიკა სისხლში და მისი რეგულაცია.
319. პარათირეოიდული ჰორმონისა და კალციტონინის ფიზიოლოგიური მოქმედება. კალციუმის და ფოსფატების მეტაბოლიზმი. D-ვიტამინი.
320. ძვლების როლი კალციუმის კონცენტრაციის კონტროლში.
321. კბილების განვითარების მეტაბოლური ფაქტორები.
322. მამაკაცის რეპროდუქციული ფუნქციის (სპერმატოგენეზი, სქესობრივი აქტი, ამ ფუნქციების მართვა სხვა ჰორმონებით) ენდოკრინული უზრუნველყოფა და კონტროლი.
323. ქალის რეპროდუქციული ფუნქციის (ორგანიზმის მომზადება განაყოფიერებისა და ორსულობისათვის, ორსულობა, მშობიარობა, ლაქტაცია) ენდოკრინული უზრუნველყოფა და კონტროლი.
324. ოვარიულ-მენსტრუალური ციკლი. სქესობრივი მომწიფება, მენარხე, მენოპაუზა.
325. ეიოფიზის ფიზიოლოგიური მოქმედება.
326. ქსოვილური ჰორმონების ფიზიოლოგიური მოქმედება.
327. ანტიჰორმონები – ფიზიოლოგიური არსი და მოქმედება.
328. მხედველობის ორგანოს ფიზიოლოგია. თვალის ოპტიკური სისტემა. აკომოდაცია, თვალის რეფრაქცია და მისი დარღვევები. გუგის რეფლექსი.
329. თვალის ფოტორეცეპტორები: მოქმედების მექანიზმი. სინათლისადმი მგრძნობელობა. ადაპტაცია, ელექტრორეტინოგრამა.
330. მხედველობის სიმახვილე. მხედველობის ველი. ბინოკულური მხედველობა.
331. ფერადი მხედველობის ფიზიოლოგიური არსი.
332. ფერადი მხედველობის დარღვევები.
333. მხედველობითი კონტრასტები.
334. თვალის მოძრაობის როლი უძრავი და მოძრავი საგნების დათვალიერებაში.
335. ცრემლი: ფიზიოლოგიური მნიშვნელობა, გამოყოფის მექანიზმი, შედგენილობა, თავისებურებები.
336. საცრემლე ჯირკვლის და საცრემლე პარკის ძირითადი დაზიანებები.
337. სმენის ორგანო. ბგერითი რხევების გადაცემა და აღქმა. ბგერის ჰაეროვანი და ძვლოვანი გატარება.
338. სხვადასხვა სიმაღლის ბგერის აღქმა. ადამიანის სმენითი აღქმის ძირითადი ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
339. ვესტიბულური აპარატი: კარიბჭე, ნახევარკალოვანი არხები. ოტოლიტური აპარატი და ოტოლიტები: მორფოფუნქციური მახასიათებლები.
340. ვესტიბულური აპარატის, ოტოლიტური აპარატის, ნახევარკალოვანი არხების გამდიზიანებლები.
341. სომატოსენსორული ანალიზატორი. კანის საფარველი – დიდი ფართობის აფერენტული ორგანო; მისი ძირითადი ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
342. კანის ტაქტილური მგრძნობელობის ფიზიოლოგიური მექანიზმები.
343. კანის ტემპერატურული მგრძნობელობის ფიზიოლოგიური მექანიზმები.
344. ნოციცეპცია. ტკივილი, როგორც ფსიქოფიზიოლოგიური მდგომარეობა; მისი მნიშვნელობა კლინიკური მედიცინისათვის.
345. ტკივილის სპეციფიკური აფერენტული გზა.

346. ტკივილის არასპეციფიკური აფერენტული გზა.
347. ტკივილის ანალიზატორის პერიფერიული, გამტარი და ქერქული განყოფილებები.
348. ტკივილის ანალიზატორის პერიფერიული ნაწილი – ნოციციტორები, მათი გამლიზიანებლები.
349. "სენსორული ტკივილითი ერთეული": მნიშვნელობა "ტკივილითი" აფერენტაციის აღმოცენებაში.
350. თავისუფალი მტკივნეული დაბოლოებანი. მექანო- და ქემონოციციტორები: ლოკალიზაცია, ფიზიოლოგიური მახასიათებლები. ადაპტაცია.
351. ალგოგენები: ქსოვილური, პლაზმური; ტაქიკინინები. ჰისტამინის როლი ტკივილის შეგრძნების აღმოცენებაში.
352. ენდოგენური ანტინოციციტორული სისტემა – ფიზიოლოგიური არსი, იერარქიული სტრუქტურა.
353. ოპიატური რეცეპტორების როლი ანტინოციციტორული სისტემის მოქმედებაში.
354. ოპიატური რეცეპტორების ტიპები.
355. ორგანიზმის ენდოგენური ოპიოიდური ნივთიერებები.
356. ტკივილის მგრძობელობის რეგულაციაში მონაწილე არაოპიოიდური ნივთიერებები.
357. ანტინოციციტორული და ნოციციტორული სისტემების ფუნქციური ინტეგრაცია.
358. ალგეზიმეტრია; კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებული გაუტკივარების ფიზიოლოგიური საფუძვლები.
359. ტკივილის ტიპები ტკივილის შეგრძნების ხასიათის მიხედვით.
360. ტკივილის ტიპები ლოკალიზაციის მიხედვით.
361. სხეულის ზედაპირის ძირითადი მტკივნეული ზონები შინაგანი ორგანოების დაზიანების დროს.
362. ქავილი – ფიზიოლოგიური არსი.
363. პროპრიორეცეპტორების როლი საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის მოქმედებაში.
364. პროპრიორეცეპტორები ადამიანის ორგანიზმში: ტიპები: კუნთის თითისტარები: ინტრა- და ექსტრაფუზური ბოჭკოები, პირველადი და მეორადი დაბოლოებანი.
365. თითისტარების ეფერენტული ინერვაცია.
366. $\alpha - \gamma$ – კოაქტივაციის მექანიზმი კუნთის თითისტარებში.
367. თითისტარების აფერენტული და ეფერენტული ინერვაციის როლი სხეულის მოძრაობის კორექციაში.
368. გოლჯის მყესების რეცეპტორების როლი კუნთის მიერ განვითარებული ძალის რეგულაციაში.
369. სახსრების რეცეპტორების ფიზიოლოგიური როლი.
370. კინესთეზიური სიგნალების როლი ორგანიზმის აღქმითი რეაქციების ფორმირებაში.
371. ყნოსვის რეცეპტორების/უჯრედების მორფოფუნქციური მახასიათებლები.
372. ყნოსვის შეგრძნების დამოკიდებულება სხვადასხვა გარემოებაზე. ადაპტაცია. ყნოსვის რეცეპტორების მოქმედების პრინციპი/ები.
373. ყნოსვის დარღვევები.
374. გემოვნების რეცეპტორების/გემოვნების კვირტების მორფოფუნქციური მახასიათებლები.
375. გემოვნების კვირტების აგზნების მექანიზმი.
376. გემოვნების შეგრძნების აღმოცენების დამოკიდებულება სხვა სენსორულ მდგომარეობებზე.
377. გემოს/გემოვნების აღქმის დარღვევები.
378. გემოვნების შეგრძნების სახეები და მათი რეცეპტორულ-ტოპოგრაფიული განაწილება.
379. ვისცერორეცეპტორები – ფიზიოლოგიური არსი.
380. ვისცერორეცეპტორების სპეციფიკური გამლიზიანებლები და სახეები.
381. ვისცერორეცეპტორების როლი შინაგანი ორგანოების და ორგანიზმის მეტაბოლური მდგომარეობის რეგულაციაში ნორმისა და პათოლოგიის დროს.

382. ორგანიზმის თხევადი გარემო: ფიზიოლოგიური მაჩვენებლები.
383. სისხლის სისტემა.
384. ორგანიზმის თხევადი შინაგანი გარემოს (მათ შორის - სისხლის) ფიზიოლოგიური კონსტანტები.
385. სისხლის ფუნქციები.
386. სისხლის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები.
387. სისხლის ელექტროლიტური თვისებების როლი ჰომეოსტაზში (მაჩვენებლებით).
388. სისხლის კოლოიდური და სუსპენზიადამოკიდებული თვისებების როლი ჰომეოსტაზში (მაჩვენებლებით).
389. სისხლი და ორგანიზმის მუავა-ტუტოვანი წონასწორობა: მაჩვენებლები, სისტემები, მექანიზმი.
390. სისხლის პლაზმის არაორგანული კომპონენტები.
391. სისხლის პლაზმის ორგანული კომპონენტები.
392. სისხლის პლაზმის აზოტშემცველი კომპონენტები.
393. სისხლის პლაზმის არააზოტშემცველი კომპონენტები.
394. ერთროციტების მორფოფუნქციური და რაოდენობრივი მახასიათებლები.
395. ერთროციტების ფუნქციები.
396. ერთროციტების დეფორმაბელობის როლი მათ ფუნქციობაში, დეფორმაბელობის ცვლილებები.
397. ერთროციტების ოსმოსური რეზისტენტობა. ჰემოლიზი: არსი, სახეები, მექანიზმი, მნიშვნელობა.
398. ერთროციტების მონაწილეობა უჯრედშორის ურთიერთქმედებაში.
399. ერთროციტების დალექვის უნარი. ერთროციტების დალექვის სიჩქარე (ელს): არსი. მაჩვენებელი, მექანიზმი, მნიშვნელობა, ცვლილებები, განსაზღვრის მეთოდები.
400. ერთროციტების აგრეგაცია.
401. ერთროციტების დესტრუქცია.
402. ერთროციტების მეტაბოლიზმი.
403. ერთროციტების რაოდენობის ცვლილებები: ფიზიოლოგიური, კომპენსაციური, პათოლოგიური.
404. ჰემოგლობინი: რაოდენობა, ფუნქციები. სატურაცია. გლიკოჰემოგლობინი : ფიზიოლოგიური არსი, კლინიკურ-ლაბორატორიული მნიშვნელობა.
405. ჰემოგლობინის სინთეზის ციკლი.
406. ჰემოგლობინის დაშლა.
407. ჰემოგლობინის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური ნაერთები.
408. ფარბ-ინდექსი: არსი, მნიშვნელობა, ცვლილებები.
409. რკინის მეტაბოლიზმი. რკინის შემცველობა.
410. რკინის ტრანსპორტი, დეპონირება, დღიური დანაკარგი.
411. რკინის შეწოვა საჭმლის მომნელებელ ტრაქტში.
412. ლეიკოციტების მორფოფუნქციური და რაოდენობრივი მახასიათებლები.
413. ლეიკოციტების რაოდენობის ფიზიოლოგიური და პათოლოგიური ცვლილებები.
414. ლეიკოგრამა, მისი ცვლილებები.
415. ლეიკოციტების ფიზიოლოგიური თვისებები.
416. ლეიკოციტების ფუნქციები.
417. ფაგოციტოზი: არსი, მნიშვნელობა.
418. მიკროფაგების მონაწილეობა ფაგოციტოზში.

419. მაკროფაგების მონაწილეობა ფაგოციტოზში.
420. მონოციტ-მაკროფაგული სისტემა.
421. ფაგოციტური უჯრედების წარმოქმნის რეგულაცია.
422. ეოზინოფილების ფიზიოლოგიური როლი.
423. ბაზოფილების ფიზიოლოგიური როლი.
424. ორგანიზმის იმუნიტეტი: არსი, მნიშვნელობა, სახეები.
425. თანდაყოლილი იმუნიტეტი: არსი, მექანიზმები.
426. შეძენილი იმუნიტეტი: არსი, მნიშვნელობა, სახეები.
427. ლიმფოციტები: წარმოქმნა, დიფერენცირება.
428. T-ლიმფოციტების წარმოქმნა და დიფერენცირება.
429. B-ლიმფოციტების წარმოქმნა და დიფერენცირება.
430. ლიმფოციტური კლონის აქტივაციის მექანიზმი.
431. ანტისხეულები: წარმოქმნა, თვისებები, კლასები.
432. ანტისხეულის ფუნქციონირების ძირითადი მექანიზმები.
433. კომპლემენტური სისტემა: აქტივაცია, ეფექტები.
434. T-ლიმფოციტების ფიზიოლოგიური ტიპოლოგია და მახასიათებლები.
435. ლიმფოკინები: წარმომადგენლები, სპეციფიკური ფუნქციები.
436. შეძენილი იმუნიტეტი და ორგანიზმის საკუთარი ქსოვილები.
437. ჰემოკოაგულაციის სისტემა: არსი, კომპონენტები, მნიშვნელობა.
438. სისხლის შედედების ფაზები.
439. სისხლის შედედების პლაზმური ფაქტორები: სახეები, მდგომარეობები, წარმოქმნა, მნიშვნელობა.
440. თრომბოციტების მორფოფუნქციური და რაოდენობრივი მახასიათებლები.
441. სისხლის შედედების თრომბოციტული ფაქტორები.
442. სისხლის სხვადასხვა კომპონენტის და ქსოვილების მონაწილეობა სისხლის შედედებაში.
443. ჰემოსტაზის მექანიზმები პირის ღრუში.
444. სისხლძარღვოვან-თრომბოციტული ჰემოსტაზი: არსი, მნიშვნელობა, ფაზები.
445. კოაგულაციური ჰემოსტაზი: არსი, მნიშვნელობა, ფაზები.
446. სისხლის შედედების შემდგომფაზა: არსი, პროცესები, მათი ფაზები/დინამიკა. D-დიმერი: ფიზიოლოგიური არსი, კლინიკურ-ლაბორატორიული მნიშვნელობა.
447. სისხლის თხევადი მდგომარეობის შემანარჩუნებელი გარემოებები.
448. ანტიკოაგულაციური მექანიზმები. ანტიკოაგულანტები: ჯგუფები, მექანიზმები.
449. სისხლის შედედების ვეგეტატიური და ჰუმორული რეგულაცია. ჰიპერ- და ჰიპოკოაგულემია: მექანიზმი, მნიშვნელობა.
450. სისხლის ჯგუფობრიობის განმსაზღვრელი ფაქტორები: აგლუტინოგენები, აგლუტინინები, ჰემოლიზინები.
451. სისხლის ჯგუფობრიობის სისტემები.
452. აგლუტინაცია: ფიზიოლოგიური არსი, განვითარების პირობები და შედეგები. სისხლის ღონორი, რეციპიენტი.
453. სისხლის ჯგუფობრიობა **ABO (ABH)** სისტემით.
454. ჰემოტრანსფუზიის ძირითადი წესები. მათი გაუთვალისწინებლობით გამოწვეული მდგომარეობები.
455. სისხლის ჯგუფობრიობის და რეზუს-კუთვნილების განსაზღვრის მეთოდის/-ების ძირითადი პრინციპები.
456. რეზუსის სისტემა: აგლუტინოგენები, რეზუს-კუთვნილება, მისი გაუთვალისწინებლობით გამოწვეული გართულება.

457. სისხლის უჯრედების წარმოქმნა: ძირითადი პროცესები.
458. ერთროპოეზი: ერთროციტების დიფერენცირების ეტაპები, მოდულატორები, ფაქტორები.
459. ლეიკოპოეზი: მიელოპოეზი, ლიმფოპოეზი (ჰემორული და უჯრედული რეგულატორები და ინჰიბიტორები).
460. სისხლის მიმოქცევის სისტემა: ფუნქცია, რადენობრივი მაჩვენებლები.
461. სისხლის მიმოქცევის დიდი წრე, მცირე წრე.
462. გული: როლი კარდიოჰემოდინამიკურ სისტემაში.
463. მიოკარდიუმის ფიზიოლოგიური თვისებები.
464. გულის ავტომატიზმი. გულის აგზნების გამტარი სისტემა: არსი, კომპონენტები (წინაგულეში, პარკუჭებში).
465. წინაგულეოვანი კვანძთაშორისი ტრაქტის უჯრედების ელექტროფიზიოლოგიური თავისებურებები.
466. ადამიანის გულის აგზნების გამტარი სისტემის შესაძლო დამატებითი სტრუქტურები და მათი ფუნქციური შედეგები.
467. კუმშვადი მიოკარდიუმის ბიოელექტრული მაჩვენებლები მოსვენებისა და აგზნების დროს.
468. კუმშვადი მიოკარდიუმის ელექტროგენეზის ფაზების მექანიზმი და ფუნქციური მნიშვნელობა.
469. გულის სინოატრიული კვანძის ბიოელექტრული აქტივობა "მოსვენებისა" და აგზნების დროს.
470. მემბრანის იონური განვლადობის ცვლილებები სინოატრიული კვანძის ავტორიტმულობის სხვადასხვა ფაზაში.
471. გულის ატრიოვენტრიკულური კვანძის და აგზნების გამტარი ბოჭკოების ბიოელექტრული აქტივობა.
472. სინოატრიული კვანძის უჯრედების კლასტრული ფუნქციური დიფერენციაცია.
473. მიოკარდიუმის ბიოელექტრომექანიკური ავტორიტმულობის ვეგეტატიური რეგულაცია.
474. მიოკარდიუმის ავტორიტმულობის ენერგეტიკული და ჰემოდინამიკური უზრუნველყოფა.
475. ავტომატიზმის გრადიენტი: არსი, მნიშვნელობა, ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
476. მიოკარდიუმის სინციტიური შენების მნიშვნელობა აგზნების გატარების საიმედოობისა და ბიომექანიკისათვის.
477. აგზნების გატარების სპეციფიკა ატრიოვენტრიკულურ კვანძში.
478. აგზნების გატარების სინქარე მიოკარდიუმის სხვადასხვა უბანში და ამ განსხვავებულობის ფიზიოლოგიური ღირებულება.
479. გულში აგზნების გამტარი სისტემის მნიშვნელობა მიოკარდიუმის თვისებების განსაზღვრაში.
480. მიოკარდიუმის აგზნების ფაზები და შეკუმშვა ურთიერთმიმართებით.
481. მიოკარდიუმის ერთხელობრივი შეკუმშვის ბიოელექტრომექანიკური საფუძველი და მნიშვნელობა.
482. გულის კუნთის ენერგეტიკული უზრუნველყოფის თავისებურებანი.
483. მიოგლობინის როლი მიოკარდიუმში.
484. ელექტროკარდიოგრაფია, ელექტროკარდიოგრაფია: არსი, მეთოდი, მნიშვნელობა.
485. ელექტროკარდიოგრაფიის ბიოფიზიკური და მეთოდური შინაარსი.
486. ელექტროკარდიოგრაფიული განხრები/გამოყვანები: არსი, სახეობები.
487. ელექტროკარდიოგრაფიის კომპონენტები - კბილები, ინტერვალები, სეგმენტები: ელექტროგენეზი, ფიზიოლოგიური არსი.
488. წინაგულეების რეპოლარიზაციის გრაფიკული რეგისტრაციის სპეციფიკა და მნიშვნელობა.

489. გულის ელექტრული დერბი: ელექტროგენეზი, ფიზიოლოგიური მახასიათებლები, რეგისტრაცია.
490. ბიოელექტრული და ბიომექანიკური პროცესების თანმიმდევრულობა მიოკარდიუმში.
491. გულის რიტმი ნორმასა და სხვადასხვა ტიპის დატვირთვის პირობებში.
492. გულის მუშაობის და რიტმის ცვლილებები და დარღვევები: ტაქი- და ბრადიკარდია, არიტმია. გულის თრთოლვა და ციმციმი. დეფიბრილაცია.
493. ექსტრასისტოლა: ფიზიოლოგიური არსი, სახეები.
494. საკომპენსაციო პაუზის გენეზი და მნიშვნელობა პარკუჭოვანი ექსტრასისტოლის დროს.
495. ორივე წინაგულის და ორივე პარკუჭის (ცალ-ცალკე) კუმშვადობის კოორდინირებულობა.
496. გულში და გულიდან სისხლის ერთი მიმართულებით მოძრაობის უზრუნველყოფელი გარემოებები.
497. გულის მჭირხნავი ფუნქციის ფიზიოლოგიური საფუძვლები და პარამეტრები.
498. გულის კუნთის ჭიმვადობის და ელასტიკურობის მნიშვნელობა.
499. გულის სისხლით ავსების უზრუნველყოფელი გარემოებები.
500. წინაგულების მიოკარდიუმის როლი გულის მჭირხნავ და რეზერვუარულ ფუნქციაში. წინაგულების ყურების ფიზიოლოგიური მნიშვნელობა.
501. წინაგულებისა და პარკუჭების თანმიმდევრული და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფელი გარემოებები.
502. გულის ციკლი/კარდიოციკლი: არსი, პერიოდები, ფაზები.
503. კარდიოციკლის პერიოდებისა და ფაზების ფიზიოლოგიური (თვისებრივი, რაოდენობრივი) მახასიათებლები.
504. მიოკარდიუმის შეკუმშვა კარდიოციკლის სხვადასხვა პერიოდში/ფაზაში.
505. გულის მუშაობის ბგერითი გამოვლინებანი. გულის ტონები: ფიზიოლოგიური მახასიათებლები.
506. გულის აუსკულტაცია: არსი, მეთოდობა, ფიზიოლოგიური მნიშვნელობა.
507. ფონოკარდიოგრაფია, ფონოკარდიოგრამა: არსი, მეთოდობა, ფიზიოლოგიური მნიშვნელობა.
508. გულის ბიძგი - ფიზიოლოგიური არსი.
509. არტერიული პულსი - გულის მუშაობის "გარეგანი" გამოვლინება.
510. არტერიების გასწვრივ პულსური ტალღის გავრცელების ფიზიოლოგიური საფუძველი.
511. არტერიული პულსის ინფორმაციულობა კარდიოჰემოდინამიკური სისტემის ფუნქციის შეფასებისათვის.
512. გულის მუშაობის რეგულირების არსი, სარეგულაციო მექანიზმები.
513. გულშიდა რეგულაციის უჯრედშიდა მექანიზმები.
514. "გულის კანონი" იზოლირებულ გულზე და მთლიან ორგანიზმში.
515. გულშიდა რეგულაციის უჯრედშორისი მექანიზმები.
516. გულშიდა პერიფერიული რეფლექსები. მიოკარდიუმის ინტრამურული განგლიები.
517. არტერიული სისტემის სისხლსავსეობის სტაბილურობის განმსაზღვრელი გულისმიერი მექანიზმები.
518. ანრეპის ეფექტი - ფიზიოლოგიური არსი. ბოუდიჩის "კიბე" - ფიზიოლოგიური არსი.
519. გულის მუშაობის რეგულაციის ჰეტერომეტრული მექანიზმი.
520. გულის მუშაობის რეგულაციის ჰომეომეტრული მექანიზმი.
521. გულის მუშაობის ვეგეტატიური (გულის გარეთა) რეგულაცია: სიმპათიკური, პარასიმპათიკური.
522. ქრონო-, ინო-, ბათმო-, დრომეტროპული ეფექტები გულზე: ფიზიოლოგიური არსი, მექანიზმები.
523. ვაგუსური ეფექტი გულზე. გულის "გასხლეტა" ცთომილი ნერვის გავლენისაგან.

524. სუნთქვითი არითმია და ცთომილი ნერვის ტონუსი.
525. ცთომილი ნერვების ტონუსი ახალშობილებში.
526. სიმპათიკური ნერვების გავლენა გულზე.
527. გულზე ნერვული იმპულსის გადაცემის ქიმიური მექანიზმი.
528. გულის ინტრამურული ნეირონების როლი გულშიდა და გულის გარეთა სარეგულაციო მექანიზმების კოორდინირებაში.
529. ცთომილი ნერვის ერთი და იმავე ძალით გაღიზიანებისას ეფექტის ჰეტეროგენულობა გულზე - ფიზიოლოგიური მექანიზმი.
530. სიმპათიკური ნერვების ერთმხრივ მიმართული მოქმედება გულზე – ფიზიოლოგიური საფუძველი.
531. გულის მარეგულირებელი (პარასიმპათიკური, სიმპათიკური) ცენტრების ტონუსური გავლენა.
532. ჰიპოთალამუსური და ლიმბური სისტემის გავლენა გულზე.
533. გულის მოქმედების რეფლექსური რეგულაცია. ვაგუსური რეფლექსი გულზე. გულის მუშაობის პირობითრეფლექსური რეგულაცია.
534. ფილტვის არტერიის, მარჯვენა და მარცხენა წინაგულების, ღრუ ვენების შერთვის ადგილის რეცეპტორების გაღიზიანების ეფექტი გულის და სხვა ორგანოების მუშაობაზე.
535. უჯრედგარე სივრცეში იონთა კონცენტრაციის და pH-ის მნიშვნელობა მიოკარდიუმის კუმშვადობისათვის.
536. ჰუმორული გავლენები გულზე.
537. ჰორმონული გავლენები გულზე.
538. ატრიოპეპტიდის (ნატრიურეზული ჰორმონის) როლი კარდიოჰემოდინამიკის და წყლის ცვლის რეგულაციაში.
539. ჰემოდინამიკის განმსაზღვრელი კანონები და პრინციპები.
540. სისხლძარღვთა სისტემის პერიფერიული წინაღობა (სისხლძარღვთა მიმდევრობითი/პარალელური შეერთების თვალსაზრისით).
541. რეზისტული და ტევადობითი სისხლძარღვები.
542. არტერიოლების ფიზიოლოგიური როლი არტერიული წნევის სტაბილიზებასა და ადგილობრივი ჰემოდინამიკის რეგულაციაში.
543. სისხლძარღვთა წინაღობა და წნევის "ვარდნა" სხვადასხვა ტიპის სისხლძარღვში.
544. სისხლის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე.
545. სისხლის ნაკადის ხაზოვანი სიჩქარე.
546. სისხლძარღვთა სისტემის ყველაზე "ვიწრო" და "ფართო" მონაკვეთები – ფიზიოლოგიური არსი.
547. გულიდან ულუფებად გადასროლილი სისხლის უწყვეტ ჰემოდინამიკად გარდაქმნის ფიზიოლოგიური მექანიზმი.
548. სისხლის არტერიული წნევის გაზომვის პირდაპირი მეთოდი.
549. სისხლის არტერიული წნევის მერყეობის ტალღები.
550. სისხლის არტერიული წნევის გაზომვის არაპირდაპირი, კოროტკოვის მეთოდი სფიგმომანომეტრით – ფიზიოლოგიური არსი, მეთოდიკა.
551. სისხლის ლამინარული და ტურბულენტული დინების "მართვა" ტონომეტრის პროცესში.
552. სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლები: სისტოლური, დიასტოლური, პულსური, საშუალო დინამიკური.
553. საშუალო ასაკის ჯანმრთელი ადამიანის სისხლის არტერიული წნევის მაჩვენებლები. ჰიპერ- და ჰიპოტენზია.
554. პულსური ტალღის მრუდი – სფიგმოგრამა: ფიზიოლოგიური არსი, კომპონენტები.

555. სისხლის ნაკადის მოცულობითი სიჩქარის განსაზღვრის მეთოდები.
556. სისხლის ნაკადის მოცულობითი სიჩქარე მოსვენებულ და მომუშავე ორგანოში.
557. კაპილარების მორფოფუნქციური მახასიათებლები.
558. კაპილარული ქსელის განვითარება სხვადასხვა ქსოვილში/ორგანოში და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები.
559. კაპილარები: მაგისტრალური, მორიგე - ფიზიოლოგიური არსი.
560. არტერიულ-ვენური ანასტომოზები - ფიზიოლოგიური არსი.
561. კაპილარების ჰემოდინამიკური მახასიათებლები (თვისებრივი, რაოდენობრივი).
